ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 19.

ქ. ქუთაისი 19 მაისი 2015 წელი

[illegible]

შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული [illegible] სახით, რომელიც მოქმედებს სამსახურის დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და შპს „ჟურნალი განთიადი“, მისი მთავარი რედაქტორი, შემდგომში „მიმწოდებელი“ ავთანდილ ყურაშვილი მეორეს მხრივ დებენ ამ ხელშეკრულებას და აღწევენ ურთიერთშეთანხმებას შემდეგზე:

1. ზოგადი პირობები

შემსყიდველმა აწარმოა ერთ პირთან მოლაპარაკება ჟურნალ „განთიადის“ ერთი წლით შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისგან წინადადება მის მიწოდებაზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საქონლის (ჟურნალი „განთიადი“) შესაძენად ერთ პირთან მოლაპარაკების წესით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

2.2. ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისობა საქართველოში არსებულ სტანდარტულ ნორმებთან;

2.3. შესასყიდი ობიექტის ერთეულის ფასები განსაზღვრულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილით და ის წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.4. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 72 ლარი;

2.5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების განხორციელება შემსყიდველის მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი არაუგვიანეს სამი დღისა.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ დაკვეთილი საქონლის მიწოდება დაუყოვნებლივ, სათანადო დოკუმენტების გაფორმების საფუძველზე;

3.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა;

3.3. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას, მიმწოდებელს საქონლის საფასური გადაუხადოს მიწოდებული საქონლის შესაბამისად, საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

3.4. შემსყიდველს უფლება აქვს, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი ან გამოსცადოს საქონელი, რათა დარწმუნდეს მის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი (ან მისი ნაწილი) ჩაითვლება მიღებულად ინსპექტირების ჩატარების, სათანადო დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურ) გაფორმებისა და შემსყიდველზე საქონლის გადაცემის შემდეგ.

5. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. სხვა პირობა

6.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა დასაშვებია შემსყიდველისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების მოცულობის ცვლილებისას და ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის შესაბამისად;

6.2. მხარეები ღებულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას არადამაკმაყო–ფილებლად შესრულებულ თავის ვალდებულებებზე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებით გათვალისწინებული შემთხვე–ვებისა;

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა „მიმწოდებელს“ და მეორე „შემსყიდველს“.

ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ეთანხმებიან რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას

2015 წლის 19 მარტიდან და იგი მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

[illegible]

[illegible]

სკ 221300152

ანგ. GE34BG0000000011953970 0

BAGAGE22

[illegible]

[illegible]

მიმწოდებელი

შპს „ჟურნალი განთიადი“

სს „საქართველოს ბანკი“,

ქუთ. განყოფილება

ანგ. GE 78 BG 0000000146595700

მფო. BAGACE 22 სკ. 212700656

ტ. (0431) 25–06–64, 599 13–52–02

ქუთაისი. გრიშაშვილის ქ. № 4